სამშაბათი, 28 აგვისტო 1907 წ. 81 წელიწადი პირველი—№ 188

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებისა მიიღება «ისარის» რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: გოლოვინის პრ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები რედაქციაში ინახება. [illegible] სუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა შეუწყდებათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხელის ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი შეუჩერდათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

კვირას, 26 აგვისტოს, გარდაიცვალა „გრანდ-ოტელის“ სასტუმროსპ ატრონი

## ალექსი დავითის ძე ჯაფარიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა მართა და ძმა არჩილ ჯაფარიძენი.

განსვენება ხსენებულ სასტუმროდან დღეს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე, რკინის გზის სადგურზე, ხოლო იქიდან—რკინის გზით ქუთაისში და მერე რაჭაში. (1—273—1)

---

**ანნა სტეფანეს ასული, იოსებ, სიმონ დავით, კონსტანტინე, ალექსანდრე და ნინო ივანეს ძენი და ასული ოცხელები და სოფიო ივანეს ასული პოლიტიკაშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას:

პირველი—ძვირფას მეუღლის, დანარჩენნი—დაუვიწყარ მამის

## ივანე სერგეის ძის ოცხელისას.

გასვენება სამშაბათს, 28 აგვისტოს, დილის 8½ საათზე, საკუთარ სახლიდან (ტფილისის ქუჩა). (1—კვ.—1)

---

3 ენკენისთვიდან, პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომში (ალექსანდრ. ბაღი) გაიხსნება

## უმაღლესი კურსები კავკასიის შესასწავლად.

ადგილობრივი მასწავლებლები და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული პროფესსორები წაიკითხავენ ლექციებს ყოველ საღამოს, 6—9 საათზე.

პროგრამმებს უფასოდ ურიგებენ კურსების კანტორაში (იმავ სახლში), ყოველ საღამოს, 5—7 საათზე.

ფასი: 1 მ. 50 კ. ნახევარ წლის, ამის გარდა 15 კ. ადგილობრივ ლექტორის ლექციაზე და 30 კ. უცხო ქალაქიდან ჩამოსულ პროფესსორის ლექციაზე. შემთხვევითი მსმენელნი ყოველ ლექციაზე იხდიან 20 კ. პირველშემთხვევაში და 40 კ. მეორეში. (6—265—3)

---

კახური ღვინით ვაჭრობა

## „ხირსა“

ახლად მივიღეთ დიდ მალი საუკეთესო

## კახური ღვინოები

ფასები ზომიერია ... ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—3)

21/ნ-65 № 1

---

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილი ს 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. [illegible] ალი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—170)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის [illegible]—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად 6 მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—27)

ელექტროთერაპიული
## კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—20)

## კპისრულოგ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს.
**ი. ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ჰიპნოზი. ყოველდღე. 4—5 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. 4—5 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**უბლამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ასპისოვი**—ყურისა, ყელისა, ცხვირისა. 1—2 ს. ყოველ ოთხშ. და პარასკ.
**ბოჟოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოზეფიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშორთვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გორობეცოვა**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პიგარჩკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—27)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განაზა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პრაფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—1)

დუშეთის ქალაქის
## თვით-მმართველობა
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, თანახმად მე-7 მუხ. 6. 2-ს კანონის სახელმწიფო საარჩევნო სათათბიროსი კავკასიის მხარეში და აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკის განკარგულების თანახმად, თიონეთის მაზრის ქალაქის ამომრჩეველნი მონაწილეობას მიიღებენ დუშეთის მაზრის ქალაქის ამომრჩეველთა ყრილობაში. (1—6.—1)

## იბეჭდება
და 31 აგვისტოსთვის მზად იქნება არ. ქუთათელაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „წყარო II“ მოსამზადებელ და პირველ კლასებისთვის.
გამოცემა მესამე, შევსებული და შესწორებული. (3—6.—1)

## სკოლა
დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.
ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8—251—4)

პირველ სექტემბერს ამა წლისას მე ვხსნი **სოფელ წინამძღვარიანთ კარში სამეურნეო სკოლის მოსწავლეთათვის** სადგურს (პანსიონს). წლიური გადასახადი თორმეტი თუმანია, [illegible] ფული უნდა შემოტანილ იქმნას ორ წილად: ექვსი თუმანი პირველ სექტემბერს და ექვსი თუმანი პირველს მარტს 1908 წელსა. ყმაწვილებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ტანთსაცმელი.
(3—268—2) **გიორგი წინამძღვარიშვილი.**

## იყიდება
**იაფად ორ-სართულიანი სახლი** მესამე თუმანოვის ქუჩაზე.
ადრესი: მესამე თუმანოვის ქუჩა, № 29. მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 10 საათიდან. (1—270—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
**ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
**სკოლებში შესასწავლი**
## ქართველი მწერლები
**მათი სურათებით და ბიოგრაფიებით**
**წიგნი პირველი, მეორე გამოცემა,** შევსებული და შესწორებული, შეიცავს 416 გვ. და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს დაეთმობა 20%.
ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგად.“ წიგნის მაღაზიაში. (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).
Тифлисъ. Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (10—271—1)

მიწათ-მოწყობის და მიწათ-მოქმედების
**მთავარ გამგეობას**
**სურს იყიდოს კახეთში**
## მიწის ნაჭერი,
ზომით ათი დესეტინა, სადაც უნდა გაშენდეს სანერგე ამერიკულ ვაზისა. სასურველია გასასყიდი მიწა იყოს შოსსეს მახლობლად, ურიათუბნისა და ჩაკურციხის შუა.
პასუხი, პირობების აღნიშვნით, უნდა გაგზავნოს ამ ადრესით: И. Д. Старшаго Агронома Доментьеву. Тифлисъ, Кодмарская № 13. (3—272—1)

---

ცნობილი
## ქალთა სამკერვალო
„SALON MODES“
სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალის-ტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.
სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.
გამგედ სამკერვალოისა არიან: უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო სოხაძისა. (25—6.—1)

## დაბა აბაშაში
პირველ სექტემბრიდან იწყება
## ჩვეულებრივი იარმარკა.
(3—ფ.—1)

ძველი და ახალი კომისია
## დანოვის ადგილების,
ამით უცხადებს მათ, ვინც მიიღეს სამოსახლოები, რომ ვინაიდან ბ. ხეხულის ადგილიდან 250 საჟენი შევისყიდეთ, საჭიროა კიდევ ფულის წარმოდგენა. ამ ადგილის შესახებ მოახსენდა უკვე საზოგადო კრებას. ვთხოვთ, მათ, ვისაც უნდათ სამოსახლოების მალე დამტკიცება-შემოუხვიონ კანტორაში და თავის ხვედრი ფული წარმოადგინონ. უამისოდ დამტკიცება დაგვიანდება. (1—274—1)

---

### ტფილისი, 28 აგვისტო

კიდევ რამდენიმე დღე და მთელს რუსეთში არჩევნები დაიწყება: გუშინწინ გამოიცა ამის შესახებ სათანადო განკარგულებანი შინაგან საქმეთა მინისტრისა, გენ.-გუბერნატორისა, კავკასიის ნამესტნიკისა და სხვათა. 2 სექტემბერს შიდა რუსეთის გუბერნიებში ერთად დაიწყება წრმუნებულთა არჩევნები წვრილ მემამულეთა, გლეხთა და მუშათა კურიებში; კავკასიაში ეს არჩევნები უნდა მოხდეს 1 ლ და 15 სექტემბრის შუა. 15 სექტემბრიდან ყველგან დაიწყება უკვე ამომრჩევლების არჩევნები...

ყველგან, სადაც ნორმალური საკონსტიტუციო რეჟიმი ჰსუფევს, პოლიტიკურ არჩევნებს წინ უძღვის აგიტაცია, რათა მოქალაქეთ გაუადვილდეს მოქალაქობრივი მოვალეობის ასრულება და თავის უფლებით სარგებლობა. თუ თავისუფალი პროპაგანდა და აგიტაცია არ არის, თუ ამრჩეველთ არ შეუძლიათ თავისუფლად შეკრება და თათბირი იმის შესახებ, რომელ რწმენის წარმომადგენელთა არჩევა ამჯობინებს არსებულ პოლიტიკურ პირობების მიხედვით და სახელდობრ რომელი კანდიდატებია ასარჩევი, მაშინ პოლიტიკური არჩევნები ბნელაში ხდება და ამრჩევლებმა თვალახვეული უნდა გაიკვლიონ გზა. ასეთ პირობებში არჩევნები შეუძლებელია პოლიტიკურად დიდად განვითარებულ ქვეყნებშიაც-კი; ხოლო რუსეთში, სადაც პოლიტიკური ცხოვრება არც-კი დაწყებულა ჯერ, წარმოუდგენელიცაა, როგორ უნდა ისარგებლონ მოქალაქეებმა საარჩევნო უფლებით, თუ შეკრებისა და წინდაწინვე მოლაპარაკება თათბირის ნება არ მისცეს?! მაგრამ დღევანდელს რუსეთში ყველაფერი წარმოსადგენი და მოსალოდნელია, რაც-კი ხალხის უფლებათა შევიწროვებისკენ არის მიმართული. აი გათავდა საარჩევნო აქტის პირველი ხანა: სიები გამოქვეყნებულია; იწყება კიდეც მეორე ხანა, ე. ი. თვით არჩევნების პირველი სტადია, მაგრამ საარჩევნო აგიტაციაზე არა ისმის-რა. ამ მხრით საქმე ბევრად უარესად არის, ვიდრე პირველი და მეორე სათათბიროების არჩევნების დროს იყო. თვით დურნოვოს ბატონობის დროს არ ყოფილა ასეთი სიჩუმე და მყუდროება არჩევნების წინ, როგორც ეხლა! ამას წინად პრემიერ-მინისტრი არწმუნებდა „მატენ“-ის თანამშრომელს, „კრამოლა“ ძლეულ არისო და ქვეყანა დამშვიდდაო. თუ ასეა, რიღასი ერიდება მთავრობას და რათ არ აძლევს ხალხს შეძლებას—თავისუფლად გამოსთქვას თავისი პოლიტიკური რწმენა-სურვილი? მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბიუროკრატია ტყუილად თავს ინგეშებს და თვითონაც კარგად იცის, რომ ქვეყნის პოლიტიკური გუნება არ შეცვლილა და რომ თავისუფალი არსევნები, რაც უნდა მოხდეს, მაინც ოპპოზიციურ მიდრეკილებას გამოამჟღავნებენ. მართლა საოცარი მოვლენა არაა ასეთი ცხოველმყოფელი და შეუდრეკელი ძალა განმანათლებელ მოძრაობისა?! ვინ იფიქრებდა, რომ 3 ივნისს საარჩევნო კანონის შემდეგაც, როცა დემოკრატიას უფლებანი წაართვეს და საარჩევნო ბრძოლის არენაზე დიდი არმია მემამულეთა და კაპიტალისტთა გამოიყვანეს, მთავრობა მაინც შიშით შეპყრობილი დარჩებოდა და ერთ წუთსაც არ შეაჩერებდა რეპრესიულ კანონებისა და წესების მოქმედებას?! მაგრამ ამის მოწამენიც ვართ. სამი წლის განმავლობაში მთავრობამ ათი-ათასობით მებრძოლი ხალხი გადაასახლა, ან ციხეებში გამოამწყვდია, ასობით და ათასობით სამართალში მისცა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გზით დროებით მაინც ჩამოერთმევინა ამათთვის საარჩევნო უფლებანი. სასტიკის ღონისძიებით დროებით „კრამოლა“-ს მოქმედება შეაჩერა, 3 ივნისს დიდი „პერევოროტიც“ მოახდინა და ერთის დაკვრით მშრომელ ხალხს წაართვა საარჩევნო უფლება და სხვა და სხვა. და მიუხედავად ყველა ამისა დღესაც შიშით შეპყრობილი სდგას მომავალ არჩევნების წინაშე და რას არ იგონებს, რას არ ეპოტინება, ოღონდ კიდევ რამენაირად შეავიწროვოს ამრჩევლები. ეს უცნაურობა საუცხოვოდ ამტკიცებს და ასურათხატებს ბიუროკრატიის სრულ ზნეობრივ გაკოტრებას. მთელი შეგნებული რუსეთი და შეუგნებელთაგანაც საუკეთესო ელემენტები ძველის წესის და ბიუროკრატიის წინააღმდეგნი არიან; მთელმა ენერგიამ, უდიდესმა მაცადინეობამ მთელის სამთავრო მექანიზმისა მოახერხეს მხოლოდ ხალხის და საზოგადოების ნაძირალების შეკავშირება და ბრძოლის ველზე გამოყვანა. განა სრულებით გაკოტრებული არაა ის მთავრობა, რომელიც არჩევნების დროს „ჭეშმარიტ რუსთა“ იმედით გამოდის ბრძოლის ველზე, რომელსაც სხვა გზა არ დარჩენია, ამ ნაძირალებს უნდა მიენდოს და მათ გამარჯვებისთვის მთელი თავისი ფიზიკური ძალა უნდა მოიკრიბოს?!..

## ხოლერა
(დეპეშები)

შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს:

22 აგვისტოს ქალაქ სამარაში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი; გუბერნიაში—1.

უფაში 21 აგვისტოს ავად გახდა ერთი, ჩისტოპოლის მაზრაში ერთი.

21 აგვისტოს სიმბირსკის გუბერნიაში სიზრანის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2.

ასტრახანში 21 აგვისტოს ავად გახდა 48, გარდაიცვალა 29. ასტრახანის გუბერნიაში—25 და ამდენივე გარდაიცვალა.

ნიჟნი-ნოვგოროდში 23 აგვისტოს ავად გახდა 10 და გარდაიცვალა 2; ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში—2.

23 აგვისტოს სამარაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი. ნოვოუზენის მაზრაში ავად გახდა 6.

სარატოვში 22 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1.

ცარიცინში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 15.

კამიშინის მაზრაში ავად გახდა 1.

24 აგვისტოს ნიჟნი-ნოვგოროდში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1.

სიმბირსკში 23 აგვისტოს ავად გახდა 1; სიზრანში გარდაიცვალა 2.

სენგილეევსკის მაზრაში 22 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1.

ასტრახანში 24 აგვისტოს ავად გახდა 44, გარდაიცვალა 30. ასტრახნის გუბერნიაში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 32.

კასპიის იქითა მხარეში 22 აგვისტოს ავად გახდა ერთი კაცი.

## ახალი ამბავი

✦ **საკვებ თანხის მოკრება.** ნამესტნიკმა წინადადება მისცა გუბერნატორებს, შეუდგნენ იმ ფულის მესამედის შეკრებას, რომელიც ხალხს გამოსაკვებად დაურიგდა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** გუშინ, 27 აგვისტოს, ტფ. სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დანიშნული იყო განსახილველად პოლიტიკური საქმე სტუდენტების ანდრონიკაშვილისა, ორახელაშვილისა, აბლაბრის მცხოვრების როსტომაშვილისა, იმნაძისა, ყარაჯევისა და უთნელიშვილის ქალისა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ ორი წლის წინად ავლაბარში გაჩხრიკეს როსტომაშვილის სახლის ქვეშ სარდაფი და აღმოაჩინეს სამი საიდუმლო სტამბა, ყუთით არალეგალური ლიტერატურა და სხვა. ამ საქმის გამო ზემოდ დასახელებულნი, როგორც პოლიტიკური დამნაშავენი, პასუხის გებაში მისცეს. პალატაში ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა უთნელიშვილის ქალი და აგრეთვე რამდენიმე მოწამე. ვექილების მოთხოვნილებით პალატამ საქმის განხილვა სხვა დროსათვის გადასდო, ამასთან პალატამ რამდენიმე მოწმე, რომელნიც არ გამოცხადნენ, დააჯარიმა. პალატამ არ შეიწყნარა ვექილის შუამდგომლობა როსტომაშვილის თავდებ ქვეშ განთავისუფლების შესახებ.

✦ **გიორგი მაჩაბლის საქმე.** გორში, 10 სექტემბერს, ტფ. სამოსამართლო პალატის სესია განიხილავს გიორგი მაჩაბლის საქმეს. მაჩაბელს ბრალდება მებრძოლ რაზმის შედგენა და ცხინვალში საპოლიციო დარაჯებზე თავ-დასხმა.

✦ **კაჩაურის საქმე.** ორშაბათს, 3 სექტემბრისთვის, ტფ. ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე დავით კაჩაურისა. კაჩაური ამ ორი წლის წინად სხვებთან ერთად დააპატიმრეს „გრანდ-ოტელში“, საიდანაც მათ, პოლიციის ცნობით, ყუმბარა უნდა ესროლათ ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ შირინკისთვის. კაჩაური სასჯელის გადაწყვეტის შემდეგ მეტეხის ციხიდან გაიქცა და დააპატიმრეს პეტერბურგში, საიდანაც ჩამოიყვანეს და აქ ხელახლა პასუხის გებაში მისცეს საპყრობილიდან გაქცევისათვის.

✦ **გაზეთების დაკეტვა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისში დაიკეტა ორი გაზეთი: ქართული „ქარიშხალი“ და სომხური „ხარისხი“.

✦ **ყვავილი ტფილისში.** ტფ. ქალაქის გადამდებ სენით საავადმყოფოს ყვავილით ავადმყოფთა განყოფილება ისე აივსო, რომ 26 აგვისტოდან ავადმყოფთა მიღება შესწყდა.

✦ **დაჭრა.** სურფ-კარაპეტის აღმართზე, 25 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზედ ვიღაცამ ხანჯლით დასჭრა ქუჩაში მიმავალი ნიკოლოზ ამილახვარი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. უცნობი მიიმალა. მიზეზი ამილახვრის დაჭრისა არ არის გამორკვეული. მეორე დღეს პოლიციამ დააპატიმრა სერგო როსტომაშვილი, რომელსაც ამილახვრის დაჭრას აბრალებენ.

✦ **ახალი გაზეთი.** კვირას, 26 აგვისტოს, ვ—ნ გუნიას რედაქტორობით, გამოვიდა ახალი ყოველ-კვირეული სურათებიანი იუმორისტული გაზეთი. „ნიშადური“. გაზეთი შინაარსიანია.

✦ **თავდასხმა.** 25 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზედ, სირაჯხანის აღმართზე მიმავალ „მირის“ ქარხნის მეარტელეს თავს დაეცნენ უცნობები და წაართვეს 60 მან., მერე დასჭრეს ბებუთით და მიიმალნენ.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება სიღნაღის მაზრის, სოფ. ბოდბის-ხევის მცხოვრები შიო ჩოხაშვილი, რომელსაც ბრალდება ცარცვა-გლეჯა და მუქარით ფულის დატყუება. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ რაჭველებს თით. კარბალაძეს და გიორგი კერვალიშვილს. მიზეზი თორნის მოსამსახურეთა შორის გაფიცვაა.

✦ **სომხებზე თავდასხმა.** 24 აგვისტოს, ღამე, როგორც საპგანტოს დეპეშა გადმოგვცემს, ყარსის ოლქში ქურთების ბრბო თავს დასცემია სომხების ქარავანს. ქარავანი გაუძარცავთ, წაუყვანიათ 17 ცხენი და 7 ჯორი. სტრაჟნიკების უფროსი დასდევნებია, ცხენები და ჯორები წაურთმევია. ერთი ავაზაკიც მოუკლავს.

✦ **ქურდობა.** 25 აგვისტოს გაუქურდნიათ კისლოვოდსკის სადგურის კასსა. წაუღიათ 12,000 მანეთი.

✦ **საქონლის ჭირი.** განჯისა, ყაზახისა, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრებში საქონლის ჭირი გაჩენილა. მარტო ივლისში 500 სული საქონელი დაღუპულა.

✦ **არჩევნების დრო.** ნამესტნიკმა უკვე დანიშნა დრო რწმუნებულთა არჩევნებისა. არჩევნები რწმუნებულებისა სოფლად, აგრეთვე მემამულეთა პირველ კრებაზე და მუშების კრებებზე უნდა მოხდეს 1-დან 15 სექტემბრამდე. ამომრჩევლების არჩევა მემამულეთა, ქალაქის ამომრჩეველთა და მუშების რწმუნებულთა კრებებზე უნდა მოხდეს 20-დან 30 სექტემბრამდე.

✦ ამ დღეებში ათამდე კაცმა თხოვნა შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში. თხოულობენ ნაჭრებად დაიყოს და მათ დაურიგდეთ ნაძალადევთან მდებარე ის მიწა, რომელიც აქამდე გერმანელთა კოლონიის სარგებლობაში იყო და ეხლა, როგორც ხმა დადიოდა, ქალაქის განკარგულებაში გადადის. გამგეობამ მთხოვნელებს გამოუცხადა, რომ ეს მიწა ქალაქის ხელში არ გადადის.

✦ ტფ. თვითმართველობის დაწესებულებათა მოხელეებს, როგორც იქნა, გუშინ, 27 აგვისტოს დაურიგდათ ჯამაგირი.

✦ კვირას, 25 აგვისტოს, დამის 11 საათზედ, კოჯორის გზატკეცილით მიმავალმა უცნობმა მგზავრმა რაღაც მიზეზისა გამო ბებუთით დასჭრა მეეტლე ტიმოთე რუდმეტკინი. დამჭრელი მიიმალა.

✦ 25 აგვისტოს გქიმმა რამენდიკმა პოლიციას გამოუცხადა, რომ 20 აგვისტოს სახლში მომპარეს სახელმწიფო ბანკში შენახულ ფულების ბილეთები, სულ 9300 მანეთისა.

✦ 26 აგვისტოს ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრებმა ანასტასია ნოდელმა პოლიციას გამოუცხადა, რომ მას საკუჭნაოდან სხვა და სხვა დროს მოჰპარეს ტანისამოსი 800 მანეთისა. ეჭვი განაცხადა მოსამსახურეებზე, ლეკერია ოდნოსტაევსა და ნადეჟდა სოლოვიოვზე, რომელნიც დააპატიმრეს.

✦ 25 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ, თავ. სუმბათოვის ტყავეულობის ქარხნის მახლობლად მტკვრიდან ამოათრიეს გვამი ვიღაც დამხრჩვალ კაცისა, რომელიც გარეგნობით 24—25 წლისა უნდა იყოს. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 24 აგვისტოს პოლიციის მე-7 ნაწილში ნავთის დამტარებელ აბრამ მალაიძეს თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი და წაართვა 18 მან. 25 კაპ. პოლიციელებმა შეიპყრეს გრიგოლ ვოდაშვილი, ნიკოლოზ ბედგაშვილი და ნიკოლოზ სეიდჯანოვი.

✦ დიდუბის ეკლესიის საწყობში 25 აგვისტოს უეცრად გარდაიცვალა ტფ. მცხოვრებელი ნიკოლოზ ბორზაგოვი 17 წლისა, გადაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 25 აგვისტოს ტფ. მოქალაქეს მოსეს მოსესიანცის შინ არ ყოფნის დროს, ბინაზე პოლიციის მე-5 ნაწილში შეჰპარვიან ქურდები და წაუღიათ 570 მან. ნივთები,

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 24 აგვისტოს წითელ ხიდის მახლობლად, გაბაშვილის ქუჩის მოსახვევში, ორი უცნობი თავს დაეცა შორაპნის მაზრის სოფელ ითხვისის მცხოვრებს ალექსანდრე წერეთელს და ფული მოსთხოვა. როცა უარი მიიღეს, ხუთჯერ ესროლეს რევოლვერი და იქვე მოჰკლეს. წერეთელს ამ დღეს აზოვ-დონის ბანკიდან ასი თუმანი გამოეტანა ჭიათურაში მუშებისათვის დასარიგებლად. განსვენებული ახალ გაზდა კაცი იყო, სულ 30—32 წლისა. ხელობით იგი შავი ქვის მწარმოებელი იყო. ყველა სწუხს მის სიკვდილის გამო, რადგანაც იგი გულწრფელი, გულუხვი და პატიოსანი ადამიანი ყოფილა. რითაც კი შეეძლო დაგვარათ ყველას შველოდა. მოკლულს ჯიბეში ათას ხუთას მანეთზე მეტი ჰქონოდა და უკლებელიც აღმოჩნდა. მკვლელები მიიმალნენ, მხოლოდ ერთ მათგანს მკვლელობის ალაგას ქუდი და პერანგის ცალი სახელო დარჩენია.

✦ 21 აგვისტოს, ღამის პირველ საათზე, არქიელის გორაზე რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა ამ გორის მცხოვრებ ილარიონ ლორთქიფანიძეს. დაუპატიჟებელ სტუმრების მისვლა დროზე გაიგეს და ყვირილ-წივილითა და თოფების სროლით მოიგერიეს. უცნობებმა მხოლოდ სახლის რამდენიმე მინის ჩამტვრევა მოასწრეს და მიიმალნენ.

✦ ამას წინად დაპატიმრებული ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფე ვარ. კაშია კავკავში გადაასახლეს.

✦ ერთ კვირაზე მეტია, რაც ზენა ქარი უბერავს, რამაც ნაგვიანებ ყანებს დიდი ზიანი მოუტანა. თუ კიდევ დიდ ხანს გასტანა ქარმა, ყანებს სულ ერთიან ბოლოს მოუღებს.

## პრესსა

„ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის თავგასულობამ საზღვარი არ იცის. აი რასა სწერს გრინგმუტის გაზეთი:

> ჩვენ, „ჭეშმარიტი რუსნი“, ვლაპარაკობთ და ვიბრძვით ამ ჟამად იმისთვის, რომ რუსეთში საკანონმდებლო სათათბირო არ იყოს, არამედ დაწესდეს სათათბირო რჩევის ხმით. მაგრამ განა ჩვენი კავშირი უკვე ახლა არ წარმოადგენს ასეთ სათათბიროს? ჩვენ უკვე შევქმენით ასეთი სათათბირო უინტრიგოთ, უარჩევნებოდ; ჩვენ უკვე ავსრულეთ რუსთა მთელი წადილი და სურვილი: დავაარსეთ სათათბირო, რომელიც თავის რჩევით დაეხმარება თვითმპყრობელს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში...

აი, როგორ უბრალოდ სწყდება საქმე! რა საჭიროა პარლამენტი, კონსტიტუცია, როცა „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირი არსებობს?! იქნება სადაო საქმის ასეთი გადაწყვეტა ბიუროკრატიას ეჭაშნიკოს და ჩვენც მოვესწრათ იმ დროს, როცა მთავრობა კიდევ ერთის მანიფესტით „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირს სათათბიროდ გადაქცევს?.. ვინ იცის, იქნება ამ „სეირსაც“ გვიმზადებს რუსეთის უცნაური ისტორია.

* *
*

მინისტრთა ნამყოფის ფედოროვის გაზეთი „სლოვო“ ერთმანეთს უდარებს ექსპროპრიაციებსა და მთავრობის ჯარიმებს და ამტკიცებს, მათ შორის განსხვავება არ არისო:

> ექსპროპრიაცია რაც არის, ყველამ ვიცით, მაგრამ საოცარია, რომ მთავრობაც იმგვარივე პატივით ეპყრობა სხვის საკუთრებას, როგორც ექსპროპრიატორები, როცა თავის დადგენილებათა დარღვევისათვის მცხოვრებთ ან კერძო პირს ადმინისტრატიულის წესით ჯარიმას ადებს. მთავრობის სავალდებულო დადგენილებანი უმეტეს შემთხვევაში ისე გაუგებრად, ორჭოფად და უსამართლოდ არიან შედგენილნი, რომ უფლებისა და კანონის მათ არაფერი აქვთ რა და ადმინისტრაციის თვითნებობას ფართო გზას აძლევენ. აიღეთ თუნდ ჯარიმის რაოდენობა; აქ ყველაფერი მოხელის ნებაზეა: ერთს 100 მანათს გადაახდევინებს, მეორეს იმავე „დანაშაულობისათვის“ ათასს; ერთ ადგილას რომ 100 მანათს ახდევინებენ, მეორე ადგილას იმისათვისვე ათასს ართმევენ. აიღეთ ახლა თვით ღონისძიება ჯარიმის გადასახდევინებლად. დაჯარიმებულთან მიდის პოლიცია და აპატიმრებს, სანამ ფულს არ გადიხდის, ისიც საპატიმროდან ცდილობს, შოულობს ფულს, იხდის და მაშინ თავისუფლდება. განა ეს უფლება ჰგავს და არა ავაზაკთა საქციელს, რომელნიც მდიდრებს იჭერენ და შემდეგ გამოსასყიდელს თხოულობენ?.. ამრიგად ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან ექსპროპრიაცია და მთავრობის ჯარიმები...

*
* *

ამას წინად ვწერდით „პრესსა“-ში, რომ თანამედროვე ერთობ თავგასული რეაქცია ხანდახან „ნოვ. ვრ.“-საც-კი აშინებს. ახლაც ა. სტოლიპინი სწერს, „ლამის არის ჩვენებურმა შავრაზმულმა რეაქციამ რუსეთში ბარბაროსული ხანა დააბრუნოს“... შემდეგ ამბობს: მთავრობა მეტის მეტ პასუხისმგებლობას კისრულობს, როცა ასე სასტიკად ზღუდავს თავისუფლებას:

> სახელმწიფო დაიშლება, თუ ხალხს ოვითმოქმედების გზას სრულებით მოუჭრით; ხალხი-კი თვითმოქმედების უნარს ვერ გამოიჩენს, თუ საკმაო თავისუფლებას არ მიანიჭებთ. ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებას ბარბაროსობის დაბრუნება შეუძლია რუსეთში, თუ დროზე გონს არ მოვალთ და დროს მოთხოვნათ ყურს არ ვათხოვებთ...

მკითხველმა არ იფიქროს, რომ „ნოვ. ვრ.“ გონს მოვიდა და გამძვინვარებულ რეაქციას ებრძვისო. არა, ამას რომ სტოლიპინი სწერს, იქვე მენშიკოვი მთავრობას ლმობიერებას უკიჟინებს და რეპრესიების გაძლიერებას ურჩევს... ასეთი მეგობრები და მრჩევლები ჰყავს დღეს რუსის ბიუროკრატიას და ამიტომაც აქვს ასე აბნეული გზა-კვალი...

## ფელეტონი

### საფრანგეთის ცხოვრება და ლიტერატურა

(წერილები პარიზიდან)

IV *)

პარიზის პირველი თეატრი „საფრანგეთის კომედია“ სრულებით არ თამაშობს პირველს როლს თავისის ღირსებითა და ხელოვნების წარმატებით. მიუხედავად მისის გამგის ცნობილ მწერალ-აკადემიკოსის ჟიულ კლარეტის მოღვაწეობისა და ყოველ-წლიურ 240 ათას ფრანკის სუბსიდიისა, ეს უძველესი „ნაციონალური თეატრი“, მდიდარი სახელოვანის ტრადიციებით, დღეს გაჩერებულია ერთს დონეზედ და მის კედელთა შორის რამდენი ხანია არ გაისმის აღფრთოვანებულ ბრძოლის ხმა ახალ აზრებისა და ფორმისა ძველს რუტინასთან. აქაც სდგამენ დაუსრულებლად ძველს პიესებს და ვიქტორ ჰიუგოს „ჰერნანი“, „მარიონ დელორმი“ და „რუიბლაზი“ ისე იპყრობს საზოგადოებას ყოველ ღამე, თითქოს ბრძოლა კლასსიციზმსა და რომანტიზმს შორის ჯერაც არ გათავებულიყოს. ხოლო ახალი პიესები არაფრით არ აღემატება სხვა კერძო თეატრებში წარმოდგენილ პიესებს.

საფრანგეთის ახალს დრამატურგიაში ღირს შესანიშნავია ერთი მოვლენა: ერთს პიესას სწერს ხშირად ორი ავტორი, და ძალიან იშვიათად შეჰხვდებით ერთის ავტორის მიერ ხელ-მოწერილს დრამას ან კომედიას. ცხადია, ამ ორსა და იქმნება მრავალ ავტორის მიერ შედგენილს ნაწარმოებში ადგილი არა აქვს რაიმე პოეტურს შემოქმედებას, იგი არის მხოლოდ უბრალო „კეთება“, მსგავსად დურგალთა ან ხუროთა, რომელთაგან ერთი სახლის ერთს კედელს აგებს, მეორე კიდევ მეორეს. ახალგაზდა მწერლებმა ეს გარემოება კიდევ სხვა ნაირად ამიხსნეს: ვთქვათ ვინმე ჟანმა დასწერა ახალი პიესა და უნდა წარმოდგენილ იქმნას თეატრში. ჟანი ჯერ უცნობი კაცია საზოგადოებისათვის და იმის პიესის მიღებას თეატრის გამგე აჭირვებს, თუნდაც მიიღოს, ხალხი ვერ ივლის. და აი ჟანი მიდის ცნობილ ავტორ რენესთან და სთხოვს მოაწეროს თხზულებას თავის სახელიც, რომ ამითი საზოგადოება მიიზიდოს. რენეც სთანხმდება მოაწეროს სხვის ნაწარმოებს თავისი გამოჩენილი სახელი იმ პირობით, რომ პიესიდან შემოსული ფული შუაზე გაიყონ. ხშირად თვით გამოჩენილი ავტორი მიმართავს ხოლმე გამოუჩენელს, მაგრამ ნიჭიერს ყმაწვილს, დასწეროს იმის მაგივრად თხზულება და ქვეშ ორივესავე სახელი მოაწეროს. ასე ძნელია ხოლმე სახელის გამოჩენა, და ასე გაირყვნენ მწერლები! პროტექცია, რეკლამა და ფული იჭერს ნიჭისა და შრომის ადგილს...

ასეთ ორ ავტორის მიერ შედგენილს პიესას წარმოადგენს „საფრანგეთის კომედიაში“ დადგმული ოთხ-მოქმედებიანი დრამა კისტემეკერის და დელარისა „მეტოქე“, რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ნიჭიერს მექანდაკეს ანდრე ბრიზოს, ჰყავს მშვენიერი ცოლი ჟანა. ცოლ-ქმარი ბედნიერია, მხოლოდ შვილი არა ჰყავთ და შინა ზრდიან ერთ ნათესავ ქალს სიმონ დე-ძორტანს. ეს ყმაწვილი, ვარდივით გაფურჩქვნილი ქალი, უყვარს ბრიზოს მეგობარს პონტკრუას, რომელსაც უნდა იგი ცოლად შეირთოს. ამავე დროს ქალი უნდა თავის საყვარლად გაიხადოს მოხუც მოარშიყეს ბარონ დე ლინიოლს. სიმონი ზიზღით უარჰყოფს ბარონის წინადადებას და ტკბილად უარს ეუბნება პონტკრუასაც ცოლად გაყოლაზედ, რადგან გულის სიღრმეში რაღაც სასიამო გრძნობა უთამაშებს თავის ბიძა-შვილ ანდრესადმი. თურმე ნუ იტყვით, ანდრესაც არ აკმაყოფილებს ოჯახური ბედნიერება თავის ლამაზ ცოლთან და შეუყვარდება თავის გაზრდილი. რამდენისამე კშენისა და ხშვეწნის შემდეგ ანდრე და სიმონი ერთმანეთს გულში ჩაეკვრებიან. ანდრეს ცოლი ჟანა გაიგებს ქმრის დამოკიდებულებას სიმონთან და მწარედ უსაყვედურებს ღალატს თავის მეტოქეს. ეს უკანასკნელი გულდაწყვეტილად აღიარებს, რომ იგი მალე დედად გახდება. ამ გვარად, ოჯახის მშვიდობიანობა დარღვეულია. ანდრემ გული აიცრუა მუშაობაზედაც. იმისი საუცხოვო ხელოვნური ნაწარმოები, ქანდაკება მშვენიერის იდეალურის ქალისა სულ არ აკმაყოფილებს. იგი უარჰყოფს თავის იდეალს, ხელოვნებას და გაბრაზებული ჩაქუჩით ამტვრევს მშვენიერს ქანდაკებას. ამის შემდეგ იგი სრულიად სტოვებს თავის ცოლს, ოჯახს და საყვარელს მიჰყვება.

ორმა წელმა გაიარა, რაც ანდრეს თავისი ცოლი და ოჯახი არ უხილავს. სიმონისაგან მიცემული ბავშვი მოუკვდა. იგი უბედურად ჰგრძნობს თავს და საშინლად სწყურია თავის დარღვეულ კერის ნახვა. ერთს საღამოს იგი ბრუნდება სახლში პონტკრუას თანხლებით, რომელიც დარჩა იმის ერთგულ მეგობრად და მუდამ ოცნებობს სიმონის შერთვაზედ. ანდრემ ჰპოვა თავისი ცოლი უფრო მომხიბლველი და მწუხარებისაგან უფრო გაჰაეროვნებული. იგი ეცემა ფერხთ თავისას ცოლის წინაშე და ცრემლით სთხოვს მიტევებას. ჟანა იმდენად უბედური და დამწუხარებულია, რომ ეგრე ადვილად ვერ მიუტევებს ღალატს თავის ეგოისტ ქმარს; უბრუნებს მას თავისუფლებას და თვითონ მიდის სამუდამოდ ალჟირში.

ეს პიესა არც ორიგინალურია და არც ხელოვნურად შემუშავებული.

ავტორებს ატყვიათ ძლიერი გავლენა იტალიელის გაბრიელ დ'ნუნციოსი. სუსტად დასურათებული ხასიათები ვერც ჰამლეტისებურ ტრაგიკულ ყოყმანს წარმოადგენენ და ვერც ბრანდისებურ გმირულს გარდაწყვეტილებას. მხოლოდ მკრთალი მიბაძვაა ერთისაც და მეორისაც.

ფრანგები ბუნებითად მხიარული ხალხია და მხიარული კომედია-ვოდევილები უფრო უყვართ, ვიდრე დრამები და ტრაგედიები. და მერე როგორი კომედიებია დღეს ფრანგულს სცენაზედ გამეფებული? უქეტეს მათგანში ნუ ეძებთ რაიმე აზრს, რაიმე იდეას. მხოლოდ სიცილი და სიცილი. მაგალითად, კლუნის თეატრში „Le major Jpéca“-ს ანუ „Bouffe la Route“-ს წარმოდგენის დროს ხელი მუცელზე უნდა გეჭიროთ და მთელი სამ-ოთხი საათი განუწყვეტლივ იცინოთ.

ასეთივეა კომედია „Mademoiselle Rosette ma femme“, რომელიც თითქმის სამასჯერ იქნა ჟიმნაზის თეატრში წარმოდგენილი.

ყოველს ერს აქვს თავისი საკუთარი განსხვავებული ნაციონალური თვისება, რომელიც გამოიხატება ხელოვნურს ნაწარმოებში. როგორც ჰპოწჰოზს რენე დუმიკი თავის „საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაში“, ღრმა პესსიმიზმითა და სასოწარკვეთილებით გაჟღენთილი ტრაგედიები არ შეიძლებოდა საფრანგეთში განვითარებულიყო, როგორც, მაგალითად, ინგლისსა და გერმანიაში, რადგან ეს არ შეეფერებოდა ფრანგის ბუნებას. ფრანგთა ეროვნულს თვისებას, მისის აზრით, შეადგენს მხიარული იუმორი, რაინდული ქცევა, მახვილ-გონიერება და მიტომაც იყო, რომ საფრანგეთის საზოგადოება ასეთის აღტაცებით მიეგება ედმონდ როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკს“, რომელშიაც დაინახეს აღდგენილი ეს ეროვნული, ბუნებრივი თვისება ფრანგებისა, და ახალგაზდა პოეტის აკადემიკოსად არჩევას დაეჩქარნენ, მაგრამ ამ ახალგაზდა აკადემიკოსმა განისვენა თავის დაფნის გვირგვინებზედ და აგერ შვიდი წელიწადია „არწივის მართვე“-ს შემდეგ არაფერი დაუწერია. სხვა ახალგაზდა მწერლები და, საზოგადოდ, მთელი ახალი ფრანგული ლიტერატურა უცხოეთის მწერლების ძლიერ გავლენის ქვეშაა.

დიაღ, საფრანგეთის ლიტერატურა, რომელიც აქამდის წინ მიუძღოდა მთელის ქვეყნისას და „ტონს აძლევდა“, დღეს თვითონ მისდევს უკან ნორვეგიისა, რუსეთისა და იტალიის ლიტერატურებს. აი ეს გარდახდარა დღეს თავ-სამტვრევი საგანი საფრანგეთის კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა.

ბ. გ—ია.

*) იხ. „ისარი“ № 140.

## დრამატიულ საზოგადოების კრება.

კვირას, 26 აგვისტოს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება. კრებას 50-მდე წევრი დაესწრო. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ვ. სულხანიშვილი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამ სამი წლის განმავლობაში გარდაცვლილ წევრთა — შიო ჩიტაძის, სტ. ზუბალაშვილის, ნ. ხიზანაშვილის, ნჟიერიძის და სხვათა ხსოვნას. ერთხმად მიიღეს ოც კაცამდე ახლად ჩაწერილი წევრი.

შემდეგ გამგეობის კრება შეუდგა მოხსენების განხილვას, გამგეობა თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მისი მოქმედება განსაკუთრებულ პირობებში იყო ჩაყენებული ამ სამი წლის განმავლობაში. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ისეთი გავლენა იქონია, რომ გამგეობას შეძლება არ მისცა, წარმოდგენები რეგულიარულად ემართნა, დროზედ კრებები მოეწვია, ანგარიშები წარედგინა და სხვა. წარმოდგენების ხელის შემშლელი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ სათავად-აზნაურო თეატრი ადმინისტრაციამ დახურა, ხოლო სხვა თეატრებს კიდევ ჯერ არ უთმობდნენ და როცა უთმობდნენ, მაშინაც მეტად ძვირად. საანგარიშო დროს განმავლობაში დრამატიულ საზოგადოებას შემოსვლია სულ 20,795 მან. 40 კაპ. ხარჯიც ამდენი ჰქონია. კრებამ დაამტკიცა ანგარიში.

გამგეობამ კრებას წარმოუდგინა პროექტი წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. პროექტის წაკითხვას შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, პროექტის განხილვა გადაედო შემდეგ დროსათვის, რადგან იგი ვერ არის კარგად შედგენილიო. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

ერთი თვის შემდეგ საზოგადოების ახალმა გამგეობამ კრებას უნდა წარუდგინოს მომავალ სეზონის ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა თავის მომავალ მოქმედების და პროექტი წესდების შეცვლის შესახებ.

კრებამ, დასასრულ, გამგეობის წევრებად ამოირჩია: ალ. ჯაბადარი, პ. ა. გოთუა, ალ. ნანობაშვილი, ნ. ერისთავი, კ. მაყაშვილი და დ. ნახუცრიშვილი. რადგან ასარჩევი დარჩა ერთი წევრი გამგეობისა და სარევიზიო კომისია, კრების გაგრძელება მოხდება კვირას, 2 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომშივე.

## პროვინციის ცხოვრება

**ზემო ქართლი.** ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ეხლა ზემო ქართლში არა სცხოვრობს და აქაურ მკვიდრთა გაჭირვებულ მდგომარეობას არ უცქერის. ნათქვამია: „თავათ არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო". მართალიც არის. აქაური გლეხობა თავათ დიდ გაჭირვებაში იყო სიდარიბ-სიღატაკით, წრევანდელმა მოუსავლობამ ხომ სულ ცეცხლზედ წყალი დაუსხა. დიდი ხანია გათავდა აქეთ კალოობა; კვლავ ამ დროს ყველას ჰქონია სალეწი ჭირნახული, წელს კი ისე მალე გათავდა, რომ კალოებს აღარ ეტყობა, გაილეწა რამე ზედ თუ არა — სულ ბალახი ამოვიდა ზედ. პურმა და ქერმა ვერც-კი აუენა იმისი ნახევარი, რაც დათესეს და ან იმუშავეს; ბევრგან არა თუ ნახევარი, ერთი მარცვალიც არ გამოუტანია და ბალახით საქონელს მოაძოვეს. სიმინდი წელს გვიან დაითესა გვალვების გამო; ამოსვლით კარგად ამოვიდა, მაგრამ ტარო არ მოაქვს და ამის გამო ზემო-ქართლელები სიმინდზედ სულ ხელ დაბანილნი დარჩნენ. საზოგადოდ, ზემო-ქართლში გვიან დათესილი სიმინდი არ მოდის, რადგან აგვისტოს ნახევრიდან დამე დიდ სიცივეებს იჭერს, სიცივე-კი სიმინდს არ უხდება; ზემო-ქართლში სიმინდი ნახევარ აგვისტომდე უნდა მოვიდეს, მაგრამ წელს ისეა, რომ ზოგან ახლა ითოხნება და აბა რა მოიყვანს! ერთის სიტყვით, ზემო-ქართლი ისეთ გაჭირვებაშია, რომ მალე შიმშილობის ხანა დაიწყება. მიუხედავად ასეთ გაჭირვებისა, აქაური ბევრი მებატონე დიდ უჯიათობას და შეუბრალებლობას იჩენს ლალის საქმეში. ერთ მარცვალსაც არ იკლებენ. ბევრმა მებატონემ სოფლის კანცელარიებში ასეთი სიები წამოაყენეს; „პურის ლალა თ. ნ—ზედ ორმოცი კოდი (კოდი ხუთი ფუთია), სიმინდისა ოცდა ათი, ქერისა ოცი, მაისის ფული ოთხი თუმანი, ორი რძლევნისა რვა მანეთი და ურმისაც ორი მანეთი". მკვითხველმა იანგარიშოს, რა დგება ერთ გლეხზედ! ლალას, როგორც ვიცით, გლეხები თავიანთ ურმით აბარებდნენ ხოლმე, ხოლო წელს, რადგან ჭირნახული არ მოვიდა და ფულად უნდა გაუსწორდნენ, ურემი, რასაკვირველია, საჭირო აღარ არის, მაგრამ ზოგიერთი მემამულე იმ ურმის ფულსაც კი ზედ მიდის და თვითეულ ურმის რვა ვერსის მანძილზე წასადებს ორ მანეთს ანგარიშობს. თითქმის ყველა სოფლელებმა გუბერნატორთან, მომრიგებელ შუამავალთან და მაზრის უფროსთან შეიტანეს თხოვნები, რომ წელს მებატონეებმა შეღავათი მოგვცენო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მართალია, მომრიგებელი შუამავალი ამ—ჯი მამასახლისებს სწერს, რომ გაუნახევრე ლალებიო, მაგრამ ამავე დროს მაზრის უფროსი იმავე მამასახლისებს უბძანებს, ყველაფერი გარდასახადი სრულიად აკრიფეთ და ჩააბარეთ მებატონესაო. მამასახლისებიც ორ წყალს შუა არიან.

**ზემო-ქართლელი.**

**ტობანიერის საზოგადოება.** დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ამ საზოგადოებას სამტრედიიდან სტრაჟნიკები ეწვივნენ, რომელნიც კანცელარიაზე დაბინავდნენ. იმათ გამო საზოგადოებას დიდი ხარჯი აქვს. დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე ოჯახი არ გაჩხრიკონ ან ვინმეს არა სცემონ. ამას, წინად სოფელს ჭყვიშში მცხოვრებს გიორგი ნანაძეს დამის ორ საათზედ დაეცნენ და უთხრეს: „შენ ორგანიზაციის წევრი ყოფილხარ და უნდა დაგიჭიროთო"? ნანაძეს პასუხის გაცემა არ აცადეს, სცემეს და იმ დამესვე წაიყვანეს სამტრედიაში. მეორე დღეს ნანაძე გაისტუმრეს ქუთაისისკენ. ხალხი დიდ შიშშია. ხშირად გაიგონებთ შემდეგ სიტყვებს: „ვაის გავეყარე, უის შავეყარეთ". როდესაც ბიუროკრატია დასუსტდა, და მის მაგიერ საქმეს ახალი თაობა განაგებდა, მაშინ წითლიშვილი არ გვასვენებდა, ეხლა ზოლატის „წვრილი ბობოლებიც" არ გვასვენებენო.

**ხიდო ხონელი.**

## მუშების ცხოვრება

**თორნის მუშები.** ერთ წელიწადზე მეტია, რაც თორნის მუშები შეერთდნენ, კავშირი შეჰკრეს და საერთო ძალით ცხოვრების გაუმჯობესება იწყეს. შარშან ივლისში თორნის მუშებმა მეთორნეებს მოთხოვნილებები წარუდგინეს. მეთორნეებმა დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს მაშინ მუშები გაიფიცნენ. ამის შემდეგ მეთორნეების მიერ ამორჩეულმა კაცებმა მუშებთან მოლაპარაკება გამართეს და მოთხოვნების სავსებით დაკმაყოფილება სავალდებულოდ გაიხადეს. მუშებმა გაფიცვა მოხსნეს. გავიდა დრო. მეთორნეები შეერთდნენ, მათაც კავშირი შეჰკრეს და ძველ პირობების დაბრუნებას შეუდგნენ. ბოლოს ხმა გავრცელდა, რომ რამდენიმე მეთორნე მუშების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ უკიდურეს ზომების მიღებას აპირობენო. ამან დიდად აღელვა მუშები. 10 ამ თვეს მუშები გაიფიცნენ. მუშები მოითხოვენ: 1. სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას 1906 წელს გაფიცვით მოპოვებული პირობები; 2. გამოძიებულ იქმნას, რამდენად მართალია ის ხმები, ვითომ ზოგიერთ მეთორნეს მუშების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ უკიდურეს ზომების მიღება განეზრახოთ; 3. როდესაც მუშა ამხანაგად უხდება მეთორნეს, უფლება არა ჰქონდეს მუშის ადგილი დაიჭიროს; 4. დაურიგდეს მუშებს საანგარიშო წიგნები; 5. გაფიცვისთვის არავინ იქმნას დათხოვნილი. მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროის სრული ჯამაგირი და პურის ფული.

გაფიცვის მესამე დღეს არჩეულ იქმნა მუშების და მეთორნეების შერეული კომისია, რომელსაც ევალება გამოიძიოს, რამდენად მართალია ხმები მუშების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ უკიდურეს ზომების მიღების შესახებ. კომისიის არჩევის შემდეგ მუშების წარმომადგენლებმა მიმართეს მეთორნეებს, გავმართოთ დანარჩენ მოთხოვნების შესახებ მოლაპარაკებაო, მაგრამ მათ ამაზე უარი სთქვეს. გაფიცულთა რიცხვი 500-მდე აღის.

**აპოლონ ჩამწარძე.**

## რუსეთი

✦ **სამეურნეო კურსები** მიწის მომწყობი მთავარი სამმართველო ადგენს სამეურნეო სკოლებისა და კურსების პროექტს. კურსები მოზრდილთათვის იქნება. ასეთ კურსებსა და სკოლებს დააარსებენ მხოლოდ შუა რუსეთში.

✦ **უთანხმოება ოქტომბრისტთა პარტიაში.** ოქტომბრისტთა პარტიაში დიდი უთანხმოება მოხდა. მემარცხენენი გადაჭრით თხოულობენ, რომ პარტიამ არავითარი კავშირი არ დაიჭიროს ჭეშმარიტ რუსებთან და უკიდურეს მემარჯვენეებთან და პარტიიდან გამორიცხონ ისეთი პროვინციალური ორგანიზაციები, რომელნიც მომავალ არჩევნებისთვის შეუკავშირდნენ უკიდურეს მემარჯვენეებს. ამ საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულ იქნება განსაკუთრებული კონფერენცია ოქტომბრისტთა ლიდერებისა.

✦ **ჯვრისწერა** 19 აგვისტოს პეტერბურგის საპყრობილეში ჯვარი დაიწერეს სინიავსკიმ და მასთან მცხოვრებმა პურკინამ. 21 აგვისტოს სინიავსკი ჩამოახრჩეს.

✦ **ჩამოხრჩობა.** 20 აგვისტოს საღამოზე, ნაფიცმა ვექილმა სოკოლოვმა შეატყობინა ნიკიტენკოს, სინიავსკისა და ნაუმოვს, ხვალ დილით სასამართლოს გადაწყვეტილება თქვენი ჩამოხრჩობის შესახებ შესრულებულ იქნებაო. სამივემ ეს ამბავი დამშვიდებით მიისმინა. იმავე დღეს მათ უკანასკნელად ინახულეს ანნა პიგიტი (ცოლი სინიავსკისა), პროკოფიევი, ბიბერგალი და მათი ამხანაგები. დამის 3 საათზე სამივენი წაიყვანეს ჯერ სასამართლოში, მერე „ლისიი ნოსზე", სადაც სამივენი ჩამოახრჩეს. ნაუმოვმა ჩამოხრჩობის წინ მღვდელი მიიწვია, სხვებმა მღვდლის ნახვა არ მოისურვეს.

✦ **თავის დაწვა.** 15 აგვისტოს შლისელბურგის ციხეში თავის დაწვა განიზრახა პატიმარმა პრუსაკოვმა. მან ერთად შეაგროვა ლეიბის თივა, ტანისამოსი და სხვა მასალა, წაუკიდა ცეცხლი და შიგ ჩავარდა, მაგრამ მეციხოვნეებმა გაიგეს და ცოცხალ-მკვდარი პრუსაკოვი გადაარჩინეს.

✦ **ძლივს გაბედეს.** დიდი ხანია, რაც პოლონეთის პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა ცნობილი მ. კოვალევსკი ორდინარულ პროფესორად აირჩია, მაგრამ მთავრობა დღემდის არ ამტკიცებდა მას. ბოლოს მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს საკითხი და ხანგრძლივ კამათის შემდეგ კოვალევსკი დაამტკიცა არჩეულ თანამდებობაზე.

✦ **პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში.** პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებს იმოდენა ხალხი მიაწყდა, რომ მზრუნველთა სამი მეოთხედი სასწავლებლის გარეთ დარჩა. მაგალითად: ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ვაკანსია იყო 300, მთხოვნელი კი 1600, გზის ინსტიტუტში თავისუფალი ადგილი იყო 150, მთხოვნელი კი 1050, სამთო ინსტიტუტში—120, მთხოვნელი—1200, ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტში—95, მთხოვნელი—700, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—800, მთხოვნელი—4000, საქალებო კურსებზე—800, მთხოვნელი—3000. საერთოდ ყველა უმაღლეს სასწავლებელში თხოვნა შეიტანა—16930 ქალმა და კაცმა. მიიღეს 4,588, გარეთ დარჩა 12,500.

✦ **გიმნასტიურ საზოგადოების დაკეტვა.** ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რომ დაიკეტოს პოლონეთში არსებული ყველა გიმნასტიური საზოგადოებანი. ამ საზოგადოებებს მიზნად ჰქონდათ გიმნასტიური ვარჯიშობა: ცურაობა, სროლა, მხედრობა, ველოსიპედისტობა და სხვა გვარი ფიზიკური ვარჯიშობა.

✦ **ფინლანდიელ იურისტთა კრება.** ფინლიანდიის დედა ქალაქ ჰელსინგფორსში დაიწყო კრება ფინლიანდიელ იურისტებისა. კრებას დაესწრო 177 იურისტი. თავმჯდომარედ აირჩიეს სამოსამართლო დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტი ბარონი ვრედე. კრება გახსნა სენატის პროკურორმა გროტენფელდმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველსა და მეორე კრების შუა 18 წელმა განვლო. კრებამ აირჩია რამდენიმე კომისია და შეუდგა საქმეს.

✦ **ლიხტენშტატის საქმე.** 21 აგვისტოს პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სტუდენტის ლიხტენშტატისა, რომელსაც ის ედებოდა ბრალად, რომ მან შარშან ყუმბარები მიუტანა იმ უცნობთ, რომელთაც აფთიაქის კუნძულზე მინისტრის სტოლიპინის მოკვლა განიზრახეს და ყუმბარებით სახლი დაუნგრიეს. სასამართლომ ბრალდებულს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

✦ **ისევ ებრაელების ჟლეტა.** ადესაში ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა ისევ მიუსია ებრაელებს თავისი რაზმელები. სამი დღის განმავლობაში ებრაელებს იკლებდნენ და აწიოკებდნენ. იმ დღეს ვიღაცეებმა ორი პოლიციელი მოჰკლეს. რაზმელებმა მაშინვე სროლა ასტეხეს. მოჰკლეს ორი, სამაგიეროდ დაჭრილი და ნაცემი რამდენიმე ასეულია. გენ.-გუბერნატორთან ებრაელთა დეპუტაცია მივიდა, მაგრამ გენ.-გუბერნატორმა ისევ თითონ ებრაელები გაამტყუნა და განაცხადა, მე ვერაფერს ვერ მოგიხერხებთო. მთელ ქალაქში სიცოცხლე მისწყდა. ებრაელები გარბიან.

✦ **ეპისკოპოზი როპი.** ამას წინად ვილნოდან პეტერბურგში დაიბარეს პოლონეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნადეპუტატარ-ეპისკოპოსი როპი და ბრალი დასდეს, თქვენ პოლონეთში დააარსეთ კათოლიკურ-კონსტიტუციონური პარტია, გააპოლონელეთ მრავალი რუსი და ლიტველი, საზოგადოდ ძლიერ ნაციონალისტურ აგიტაციას ეწევით, ამიტომ პოლონეთიდან უნდა გადასახლდეთო. ამბობენ, რუსეთის მთავრობამ რომის პაპას შეატყობინა ეს ამბავი და სთხოვა როპის გადაყვანა პოლონეთიდან.

## უცხოეთი

**ირლანდია.** ირლანდიის დედა-ქალაქ დუბლინში შეიკრიბება ეროვნული საბჭო ირლანდიის ახალ პარტიის „Sinu Fein"-სა, რაიც ქართულად ნიშნავს „ჩვენ ჩვენთვის". ეს პარტია ეხლახან დაარსდა, მაგრამ უკვე აურაცხელი წევრი ჰყავს. მას მიემხრო უმეტესობა სამღვდელოებისა და ახალგაზრდობისა. ძირითადი იდეია ახალ პარტიისა ამბობს, რომ ირლანდიის დეპუტატები ინგლისის პარლამენტისგან ირლანდიას ავტონომიას ვერ მოუპოვებენო, ამიტომ ეს ორგანიზაცია ცხარე ბრძოლას უცხადებს ირლანდიელ ნაციონალისტებს, რომელნიც ფიცს აძლევენ ინგლისს ერთგულებაზე, მონაწილეობას იღებენ ინგლისის კანონმდებლობაში და ამით თითქო იკანონებენ არსებულ ურთიერთობას ინგლისსა და ირლანდიის შორის. ახალ პარტიის პროგრამის საფუძველს შეადგენს შემდეგი ოთხი მუხლი: 1) ინგლისის პარლამენტში ირლანდიის დეპუტატებმა მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. მომავალ არჩევნებში არჩეული დეპუტატები არ უნდა შევიდნენ ინგლისის პარლამენტში; 2) ირლანდიამ არ უნდა მოუცადოს ინგლისის თანხმობას და დაუყოვნებლივ მიიწვიოს საკუთარი პარლამენტი. თუმცა მას არ ექნება სახელმწიფოებრივი ძალა, მაგრამ სამაგიეროდ მას ხალხში ექნება დიდი მორალური ავტორიტეტი, ამიტომ ხალხი შეასრულებს მის დადგენილებას. ბოლოს ინგლისი იძულებული იქნება ირლანდიის ავტონომია დააკანონოს; 3) უნდა განვითარდეს ირლანდიის მრეწველობა და 4) ბოიკოტი გამოეცხადოს ინგლისის საქონელსა და ვაჭრობა-მრეწველობას. პარტია მრეწველობის განვითარებას უფრო დიდ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მეურნეობას, ამისთვის მას საჭიროდ მიაჩნია უცხოეთის კაპიტალის შემოშვება ირლანდიაში.

**ინგლისი.** ინდოეთის სტატს სეკრეტარმა ჯონ მორლეიმ შეიმუშავა გეგმა ინდოეთის მართვა-გამგეობის რეფორმისა. ეს გეგმა დაბეჭდილია ოფიციალურ თეთრ წიგნში. ინგლისი, როგორც ეტყობა, ინდოეთშიაც აპირობს თვითმართველობის შემოღებას. ჯერ-ჯერობით კი მას შესაძლოდ მიაჩნია მხოლოდ შემდეგი რეფორმები. არსებული „საკანონმდებლო საბჭო" უნდა შეივსოს ინდოელთა წარმომადგენლობით. მსხვილმა მემამულეებმა და თავადებმა უნდა აირჩიონ შვიდი წარმომადგენელი, ხოლო მაჰმადიანებმა ორი. გარდა ამისა ინდოეთის ნამესტნიკი თავის მხრივ ნიშნავს ოთხ კაცს ეროვნულ უმცირესობათა მხრივ. აქედან ორი უეჭველად მაჰმადიანი უნდა იყოს. ასეთივე წარმომადგენლობა ეძლევათ ინდოელებს ინდოეთის ოლქების საკანონმდებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა უნდა დაარსდეს განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც მხოლოდ სათათბირო ხმა ექნება. იგი შესდგება 60 ინდოელისაგან, რომელნიც ინიშნებიან ინდოეთის ნამესტნიკის მიერ. ეს დაწესებულება შეაერთებს ხალხსა და ინგლისის მთავრობას. ასეთივე საბჭოები დაარსდება ოლქებშიაც.

უკანასკნელ დროს ინდოეთში ეროვნული მოძრაობა იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ჩაქრობა ასეთი უმნიშვნელო რეფორმებით შეუძლებელია. ინგლისის თითქმის ყველა კოლონიებმა მიიღეს ფართო თვითმართველობა; დარჩა მხოლოდ ინდოეთი, რომელსაც მომავალში ავტონომიისთვის ალბად დიდი ბრძოლა მოელის.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

**25 აგვისტო**

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრომ მოხსენება შეიტანა, განთავისუფლებულ იქნან უნივერსიტეტში სწავლის ფულის შეტანისაგან პროფესორების, პრივატ-დოცენტების და უნივერსიტეტის სხვა მოსამსახურეთა შვილები.

საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა უნივერსიტეტთა საბჭოებს, შეიმუშაონ და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინონ ინსტრუქციები უნივერსიტეტის პროექტორთათვის.

**ვიბორგი.** საქმე ყუმბარების მკეთებელთა შესახებ 21 სექტემბრისთვის გადაიდო, რადგან საჭიროა ბრალდებულთა ნამდვილ ვინაობის გაგება. სასამართლომ დაადგინა, ეცნობოს საიმპერატორო მთავრობას, რომ განაჩენის დადებამდე ბრალდებულების გაცემა შეუძლებელია.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** რომადანოვის რკინის გზის სად. რუსოვატიხაში 10 შეიარაღებული კაცი თავს-დაესხა ჟანდარმებს. ჟანდარმები ამოხოცეს, კასიდან 75 მანეთი გაიტაცეს და მიიმალნენ.

**ლომი.** სასის მაზრის სოფ. გატკაში 6 მძარცველმა მოჰკლა გლეხი და მისი ცოლი. წაიღეს სხვა და სხვა ნივთები.

**ეკატერინოდარი.** ვერხნებაკინის სადგურში ბრბომ მოჰკლა ერთი კაზაკი. კაზაკს ქურდობას აბრალებდნენ.

**ოდესა.** დაიწყო შინაურ ფრინველების გამოფენა.

**26 აგვისტო**

**კერჩი.** 24 აგვისტოს საღამოს 8 საათზე თავის სახლში თავი მოიწამლა ახლად დანიშნულმა გიმნაზიის დირექტორმა ერნოვსკიმ.

**ვილნა.** გაზის ქარხანაში გაფიცვა გათავდა. დაწესეს ათი საათის სამუშაო დღე და დღიურ ხელფასს 10 კაპეიკი მოუმატეს.

**გროდნო.** მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ 24 აგვისტომდე მოაწყო 466 სახუტორე ადგილი. ხუტორებზე უკვე დასახლდნენ.

**ჩერნიგოვი.** სოფ. კუჩაშევკაში ავაზაკები კერძო სახლში მიიმალნენ და პოლიციას იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაუწიეს: ერთი ავაზაკი მოჰკლეს, დანარჩენები შეიპყრეს. დააპატიმრეს სახლის პატრონი ქალი.

**ირკუტსკი.** სასიკვდილოდ დასჭრეს მექარხნე პერევალოვი, რომელიც თავის ქალითურთ ქარხანაში ბრუნდებოდა და თან ფული მიჰქონდა მუშებისთვის დასარიგებლად. ქალი და მეეტლე უვნებლად გადარჩნენ.

**პოლტავა.** პერეიასლავის მაზრის სოფ. პოდსენნაში ცეცხლმა გაანადგურა სახელმწიფო საარყე დუქანი, პური, სხვა და სხვა ნივთები და 37 სახლ-კარი. ზარალი 40,000 მანეთზე მეტია.

**პსკოვი.** ნოვორჟევში დაიწვა 30 სახლი, სამოქალაქო სასწავლებელი, საარყე დუქანი, სიფხიზლის საზოგადოების საჩაიე და მიწის მომწესრიგებელ კომისიის სადგომი. ბევრი ოჯახი უსახლ-კაროდ დარჩა.

**კალუგა.** საგლეხო ბანკმა დაამტკიცა ორი გეგმა 3363 დესეტინა ადგილისა, რომელიც მიჰყიდეს 19 ამხანაგობას.

**უფა.** 24 აგვისტოს საღამოთი მძიმედ დასჭრეს ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი, რომელიც ნათესავებთან სტუმრად იყო.

**ეკატერინოსლავი.** შეიარაღებულები დაეცნენ სადგურს ბერგელოვკას. წაიღეს 12 მანეთი.

**პეტერბურგი.** 11 საათზე ბალტიის გემთსაშენებელ ქარხანაში, საზღვაო მინისტრის თანადასწრებით, ზღვაში ჩაუშვეს ახალი ჯავშნოსანი „იმპერატორი პავლე პირველი".

**ყაზანი.** ქალაქიდან ხუთი ვერსის მანძილზე დაეცნენ გრანოვსკის მონასტერს. გადაისროლეს ყუმბარა, მაგრამ იგი არ აფეთქდა. თავ-დამსხმელები მოიგერიეს.

**ეკატერინბურგი.** ბოგოსლოვის ოლქის ნადეჟდინის ქარხანაში არეულობა მოხდა. მუშებმა მოჰკლეს ოლქის მმართველი ინჟენერი პრახოვი და სამეურნეო ნაწილის გამგე ოციპისი. მოხელეები ქარხნიდან გარბიან.

**მოსკოვი.** 25 აგვისტოს განახლდა საერობო კრების მუშაობა. ივნისის სესიის დროს შეკრებულ 117 წევრთაგან გამოცხადდა მხოლოდ 67. 26 საერობო გუბერნიიდან. კადეტებთაგან არც ერთი არ მოსულა. კრებამ პრეზიდიუმი ისევ ძველი

აირჩია: თავმჯდომარედ როძიანკო, თავმჯდომარის ამხანაგად გუჩკოვი, გრაფი ბობრინსკი და ბრაზოლი. მდივნებად კალუგინი, თავ. გოლიცინი, ხვოსტოვი და კამაროვი. არჩია აქვთ ჯერ კომისიიდან მოამზადონ კანონ-პროექტები, თანახმად სახელმწიფო საბჭოს წევრის ერმოლოვის მოხსენებისა, და მერმე განიხილონ გრაფის უფლებათა მოხსენება.

**კისლოვოდსკი.** შემდეგ დაესხნენ თავში და გამარჯვება „დრონის“ განყოფილების აგენტი ორივეს.

**ჩერკასი.** დაბა ხმელში დაიჭირეს მაქრის ქარხანა. მოჰკლეს ორი პოლიციელი. ორი თავდამსხმელი შეიპყრეს.

**გომელი.** 23 აგვისტოს გასძარცეს ეკონომია დაუს გაუერისა; 25 აგვისტოს—ბარონ ბერენნინგმეიერისა; მოჰკლეს მოსამსახურე ქალი და დარაჯი.

**ლოძი.** 24 აგვისტოს ხოფ. რეგიონში 9 შეიარაღებული კაცი დაეცა გლეხის სახლ-კარს. ფული რომ ვერ იშოვეს, მოჰკლეს თვით გლეხი, იმის ცოლი და 10 წლის ვაჟი. ... და ბრძნობა დაშავებულები დაიტოვეს. ... მეშებს ხელვანი მოუწოდეს.

**მოსკოვი.** დაიწყო თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების კრება. მთავარ გასარჩევ საგანია: სათათბიროს არჩევნების ტაქტიკა.

**ოდესა.** პროპორციის ქუჩაზე 9 შეიარაღებული კაცი დაეცა ქარხნის მმართველს. წაართვეს 3600 მანეთი და გაიქცნენ. მიმდევნენ და ორი მათგანი დაიჭირეს. ... თავდამსხმელთაგან ერთი მოკლეს. ...

**ბალტა.** ხოფ. ტოლჭიდან დაიწვა 20 სახლ-კარი.

**ტულა.** აირჩიეს 26 ხმოსანი. ... 20 მემარჯვენეა.

**პეტერბურგი.** გამოვა საქმეთა სამინისტროს დაარბეულების კამისიამ შემოიღა გაათავა. ... სამინისტროს ბიუროკრატიული ... და ... უფლება.

**ოდესა.** 25 აგვისტოს ზღვაში სამინელი ქარიშხალი იყო. ბევრი გემი შეჩერდა. დაიღუპა სამი ბარჟა საქონლით და კაცებით.

**პერმი.** ნადეჟდინის ქარხნიდან მუშებმა გააძევეს. ... და ქარხნის ... მუშებს ... ხალხი ... ქარხნის მმართველი.

**ეკატერინოდარი.** არმავირში დაიწვა 40 სახლი.

**ვიტებსკი.** გუბერნიის სახლში მკვლელობის ბინაში იპოვნეს ერთი ყუმბარა. დააპატიმრეს 9 კაცი.

**კიევი.** ჩერკასში ჩერკასის დროს მოჰკლეს ერთი პოლიციელი, მეორე დაჭრეს.

**ეკატერინოდარი.** დაიჭირეს მეთაური მოსამართლე.

**ლიუბლინი.** დაიწყო პოლიციის მაქრის ქარხნებში და კრება. მონაწილეობა იღებს 50-მდე კაცი.

**ვლადივოსტოკი.** ხლისხანების გზაზე ... ბოლოს გასძარცეს ფოსტა. მოჰკლეს ფოსტალიონი და შიკრიკი. წაიღეს 240 ათ. მ.

**ტირასპოლი.** მეზ. რამ ზღვის ფონთ ... ფულის ... მოსხმული წინ მიმავალი ... ზღვის ... გზა ... გამოდევნეს.

**ბერდიანსკი.** ზღვაში ძლიერი ქარიშხალი, დროშელი ... ზღვის ნავსადგურში ... მოსპობილი მადრიდი, ... ზღვაში გადაიჩეხა.

**ვიტებსკი.** ნიკოლოზ პრივილევსკის საზღვარზე ... დაპატიმრების ... დაატყვეს 11 კაცი.

**ლოძი.** ქალაქის განაპირა ბინებში შეიარაღებული კაცები დაეცნენ ... და ... კაცი ... ფოსტა ... ეკონომია.

**ეკატერინოდარი.** პრიორიტეტების ... სახლი ... ქუჩაზე ... ბოლშევიკების ... სახლი ... და ... ოქროს ნივთები ...

**კოსტრომა.** დაიჭირეს 5 კაცი. ბრალდებულნი არიან

დებათ ვილისში ვაჟების გიმნაზიის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება. დაპატიმრებულთ უპოვნეს 4 რევოლვერი.

**ეკატერინოსლავი.** ისაინოვატის სადგურისაკენ მიმავალ მ ტარებლის გაძარცვა სურდათ, მაგრამ ადრე გაიგეს. მატარებელში დააპატიმრეს სამი კაცი. უპოვნეს ორი რევოლვერი, ასაფეთქებელი მასალა, ხუთი ყუმბარა და პატრონები.

**მოგილევი.** სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში დააპატიმრეს ერთი ქალი, გვარად ნალივაიკო, რომელსაც სურდა შიფრიანის დეპეშით 4700 მანეთის მიღება. დააპატიმრეს აგრეთვე იმისი ამხანაგი.

## უ ც ხ ო ე თ ი.

24 აგვისტო.

**ვენა.** რუსინთა სტუდენტების საქმის გამო პროკურორმა, კრალის გარდა, რომელიც გაიქცა, დამნაშავედ არც ერთი ბრალდებული არ იცნო. გარდა ამისა, უარი განაცხადა 6 კაცის ბრალდებაზე, რადგან დამამტკიცებელი საბუთი არ არის. ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

**ჩიკაგო.** აიოვის შტატში, ჩიკაგოსა და მ ნიაპოლის შუა, სწრაფი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. მოკვდა 11 კაცი, და დაიჭრა 7.

**სოფია.** მთავრის თანადასწრებით 26 აგვისტოს შავ-ზღვაში ჩაუშვეს სამი ნადმოსანი.

**ტოკიო.** წყალ-დიდობამ დააზარალა აჩრდილო იაპონიის შუა-გული ადგილები. ზარალი 20 მილიონ იენზე მეტია. დაიღუპა 300 კაცი, დაინგრა ათასამდე სახლი. წყალმა დაჰფარა სამ ც-ათასამდე სახლი. წაილეკა 39 დიდი ხიდი. გაფუჭდა რკ ნის გზა 208 მილის მანძილზე. ტოკიოსა და იოკაგამასშუაც მიმოსვლა და მიწერ-მოწერა რამდენისამე დღით შეჩერებული იყო. ტოკიოში სურსათის ფასს 30% მ ემატა. იოკაგამაში დაინგრა წყლის მილი. 60 წელიწადია, რაც ასეთი წყალ-დიდობა ტოკიოში არა ყოფილა. ხოკოდატეში საშინელმა ცეცხლმა ქალაქის სამი მეოთხედი გაანადგურა. სულ მთლად დაიწვა 40 ქუჩა, ს დაც 10,000 სახლი იდგა. მათ შორის გადაიბუგა ინგლისისა და რუსეთის საელჩოც. ზარალი 30 მილიონი იენია, სულ მთლად განადგურდა შენობანი მართლმადიდებელ მისსიისა, ეკკლესია, ბიბლიოთეკა, სკოლა და ორი სახლი.

**სტამბოლი.** ედიკულის უბანში ცეცხლმა 100 სახლი გაანადგურა.

**ვენა.** გათავდა რუსინელ სტუდენტების საქმე. შვიდს მიუსაჯეს ერთი თვით საპატიმრო, ორი გაამართლეს.

**ლონდონი.** კანტონიდან იუწყებიან: განჯოუს ოლქში არეულობა მოხდა. ერთი მოხელე ცოლ-შვილიანად მოჰკლეს. მთავრობის სახლი დასწვეს. კანტონიდან ბრიგადის გენერალი გაემგზავრა, თან წაიყვანა 4 პოლკი.

**კასაბლანკა.** ბევრმა ერმა ითხოვა ბრძოლის შეწყვეტა და მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება, გენერალმა დრიუდმა მორჩილების გ მოსაცხადებელ ვადად 26 აგვისტო დანიშნა. უცხო ქვეყნის ლეგიონის სამს ბატალიონს ებრძანა კრეისერ „გლუარი-“თ საითკენღაც წასვლა, მაგრამ 25 აგვისტოს ბრძანება ისევ შესცვალეს. მიზეზად ასახლებენ იმ ამბავს, ვითომ მულაი გაფიდმა მოახერხა მაზაგანის ტამლუნაში პატრონების ხელში ჩაგდება, სანამ ფრანგები დაიჭერდნენო.

**პარიზი.** გაზეთ „ლიბერტე“-ს ატყობინებენ ტულონიდან: ფორტში მოდარაჯე სათადარიგო ჯარის კაცებმა აღმოაჩინეს პატრუქის ზონარი, რომლის ბოლო ჩადებული იყო კაზემატის კარების ქვეშ თოფის წამლის საწყობის ზემოდ. გამოძიება შეუდგნენ.

**პარიზი.** არაბებმა ზღვის პირას გრანატა იპოვნეს და ქვებით მტვრევა დაუწყეს. გრანატა გასქდა, სამოცი კაცი მოკვდა და ბევრი დაიჭრა.

კაზანბლანკში მტრული მოქმედების შეჩერების მიზეზად სთვლიან საქმეში ყაიდ მაისის გარევას. ყაიდს სურს ფრანგების რწმუნებულთან შეთანხმდეს.

**სტამბოლი.** კუნძულ მიტილენში, შავი ჭირით ორი კაცი გახდა ავად. გემები ნავთ-სადგურში არ შედიან.

უსკუბიდან იუწყებიან: ბოლგარიის ეგზარხატმა დაითხოვა 12 მასწავლებელი. იმათ ჰბრალდებოდათ კავშირი ბოლგარელ კომიტეტებთან.

**ბაქო.** დასრულდა ტრედუნიონისტების კონგრესი. მიიღეს რეზოლიუცია, მოსთხოვონ მთავრობას—მოაწესრიგოს უადგილოდ დარჩენილთა საკითხი კოოპერატიულ საფუძველზე, რაც უადგილოდ დარჩენ ლთ ხანგრძლივ სამუშაოს აღმოუჩენსო.

**სტამბოლი.** დარჯა წყლის მუტასარიფი რეშიდ ფაშა ვანის ვალად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნაჭასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნაჭასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. და ვენერიული (სიფილისი).

**ფ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავალიშვილი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქ. ი. გედევანიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. მხეიძეანისა:** 1½—2 საათამ. საბავშვო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბავშვო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნაჭასარდიანი**

(150—ხალ.—140)



მანეთ ნახევარი
## დ ღ ე შ ი
**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ საქსოვ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელადვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებით. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—16)

## გამოცდილი მასწავლე-
ბელი ღებულობს საშუალო სასწავლებელთა უმცროს კლასებისთვის მოსამზადებლად ქალებსა და ვაჟებს. აქვე შეიძლება მოწაფეთა სრულს ხარჯზე მიღება და მათთან საღამოობით მეცადინეობა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, ნაშუადღევის 4—8 საათამდე.

ადრესი: ყიფიანის ქუჩა, სახლი № 25 მეორე სართულში, შესავალი ეზოდან. (4—258—4)

**თოფის ქარხანა**
## ი. ფ. პეტროვისა
ვიატსკაია გუბ., „იჟევსკი ქარხანა“

ჰყიდის ყოველგვარ სანადირო **თოფს, რევოლვერებს** და ნადირობისთვის საჭირო ნივთებს თოფი **„ბერდანა“** ზაფანტისა, 9 მანეთად, კარგია ღარიბ მონადირესათვის. **ცეცხლის** გასაღების მაშინკა, კარგი და გამოსადეგი სოფლის მეურნისათვის, თითო 80 კაპეიკად, ორი შტუკა 1 მან. 50 კაპ., 10 ცალი 6 მან. 50 კაპ., პრეისკურანტი მოთხოვნისათანივე ეგზავნებათ, ვაჭრებს და მაღაზიებს ფას-დაკლებით.

(Метцль и К°. 3280) (6—№ 3.—5)

## ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ
„Дзмоба“ „ძმობა“
ძმობა ვენახთ
Телефонъ №1036.
въ ТИФЛИСЪ
Головинскій проспектъ д. Егіазарова

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—94)

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით
**ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი**

26 აგვისტოს გამოვა
## ნიშადური
კარიკატურებით

**პ რ ო გ რ ა მ ა**

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილიუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი:** წლით 5 მან. ½ წლით 3 მან., ცალკე ნომერი 10 კაპ.

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

⇔ საჭირონი არიან ⇔

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შხამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

## ✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦




# კალოშებისა
**და სხვა რეზინის საქონლისათვის**
## უმაღლესი ჯილდო
(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ
„რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,
**რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭე ს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წმინდად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიმელლერ

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა,

### ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—54)